საქართველოს მთავრობის განკარგულება

№622 2016 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

სს „ნამახვანისათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ სს „ნამახვანს“ (ს/კ: №406062503), უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს აღნაგობის საგნის ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ოპერირების მიზნით გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

N	მისამართი უძრავი ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონის კალაპოტში მდებარე 1121019 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	29.06.31.113
2	ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონის კალაპოტში მდებარე 736441 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	89.14.25.090
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე ლეხინდარის კალაპოტში მდებარე 28201 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	29.01.33.235
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე ლეხინდარის კალაპოტში მდებარე 44 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	29.01.33.272
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე ლეხინდარის კალაპოტში მდებარე 48 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	29.01.33.271
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდინარე ლეხინდარის კალაპოტში მდებარე 18716 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	29.01.33.270